

„ვ ა ზ ლ ი ა“

ერთმოქმედებიანი დრამა

მოქმედი პირნი:

და შენკა

ვლდა

ალექსი

ილია

ეგორ ივანესძე

მოქმედება წარმოებს კოლმეურნეობაში

შემოდგომაა, მაგრამ მზის სინათლე უზვად იღვრება ფანჯრიდან ოთახში. სისუფთავეა. კრელი ჩითის ფარდა ოთახს შეაბეჭოუს. მარცხენა მხარეს საწოლი და კარადა მოჩანს. კარადაზე ლარნაკადგმული ყვავილების თაიგული დგას. მაყურებლის პირდაპირ შესასვლელი კარია, მარჯვენა კი—მეორე ოთახში გასასვლელი. ფანჯრებს შორის კედელზე ჰკიდია ჩარჩოებში ჩასმული საგვარეულო პორტრეტები. კამოდზე მდგარი სარკის ირგვლივ კი მიმაგრებულია ბევრი უჩარჩო სურათი. კამოდის ერთ-ერთი უჯრა იატაკზეა დადგმული. საცვლები, ნაკრები და საერთოდ ღია ფერის ქსოვილის ნაკუწები უწყსრიგოდ ყრია. ეტყობა ოღლა ნათებს ალაგებდა, დაშენკა რომ მოვადა. დაშენკა კი დამჯდარა თავის ჩემოდანზე და, შეხვედრით გახარებული, ღიმილით შეჰყურებს ოღლას

დაშენკა. რომ იცოდე, როგორ გამახარა შენთან შეხვედრამ!..
ოღლა. უსინდისო! ნახევარი წელი გავიდა, რაც წახვედი და ორი სიტყვაც არ მოვიწყოია!

დაშენკა. ნახევარი წელი?! თითქოს არც კი დავცილებივართ ერთმანეთს. რა დიდებულად ვცხოვრობდით მაშინ! გახსოვს? მართალია, მხოლოდ ათი დღე ვცხოვრობდით ერთად, მაგრამ სამაგიეროდ, რა კარგად, რა სიამტკიბილობით!

ოღლა. გახსოვს პირველი საღამო! „ნუ წუხდებით... მე იატაკზეც შემიძლია დავწვე!“ გახსოვს?

დაშენკა (აღაშება) შენ კი მიყურებ და დუმხარ.

ოღლა. გაოგნებული ვიყავი. ვფიქრობდი, ესეც შენი ქალაქელები, ნუთუ იატაკზე წვანან-მეთქი! (იცინას.)

დაშენკა. ძალიან ვუელავდი: რა ხალხია, როგორ მიმიღებენ-მეთქი. მე ხომ შორს არასოდეს არ წავსულვარ. შარშან კი, ზამთარში, როდესაც ახალგაზრდები სამუშაოდ მოგვიხმეს, ველარ მოვითმინე. შემდეგ მხოლოდ იმასლა ვფიქრობდი, რომ არ შევრცხვნილიყავი.

ოღლა. ჩვენთან ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ყველას უხარია თქვენი ნახვა—მათ ჩამოსვლას ველირსეთო. (ჩემათ) მარტო მე ვერ მოვესწარი.

(დაშენკა გაკვირვებული შეჰყურებს ოღლას. ცდილობს დაფაროს თავისი შეშფოთება) არა... ეს მე ისე... (მივა ფანჯარასთან, გადაიხედავს, შემდეგ მეორე ფანჯარასთან მივა.)

დაშენკა. ელოდები ვინმეს?

ოღლა (ფრთხად). ჰმ, მეტი საქმე არა მაქვს! ყელზე არ დაადგეთ! (შორს სადღაც გარმინი ახმინდა. მაგრამ იგი იმ წამსვე შეწყვიტა იქვე ახლოს ქუჩაზე იმდღეობა შემართვს)

ოქროს ვარსკვლავი გაბრწყინდა ცაში,
და ჩვენც ბედნიერ ვარსკვლავზე გავჩნდით.

(შემდეგ გაისმა ახალგაზრდების სიცილი და წამოძახილი:) „ოპ, კოლია, კოლია, ლენინგრაღელო, შენ ცეკვა არ გცოდნია.“ (კვლავ სიცილი და თანდათან დაშორებული ხმები) დღეს ჩვენთან ახალგაზრდობის შეკრებაა. გაიკვ?

დაშენკა. ვაფიგე. (ნაღა ფანჯარასთან და იქვე ჩამოჯდება)

ოღლა უსაფლავი ხალხი ჩამოვიდა! მთელი რაიონიდან. ყველა ჩამოვიდა, ვინც ზამთარში ჩვენთან იყო. აი როგორც შენ. ჩვენც, აქაურ კოლმეურნეებსაც დაგვიძახეს. (მიუხედავად დაშენკას) მითხარი: შეკრებაზე თუ ვინმეს გზავნიან, აუცილებლად უნდა დაესწროს?

დაშენკა. რასაკვირველია.

ოღლა (გახარებული). მართლა? თუ გზავნიან შეკრებაზე? (გრძნობამოლოებული მოეხვევა დაშენკას) თუ ელოდებიან!..

დაშენკა. გადარეული?

(მორიდან ისმის და თანდათან იღვრა ხმა.)

აშრიალდა აშოლტილი ჭადარი,

სიყვარული ღვივის, როგორც ღაღარი.

ოღლა. სიყვარული... (მაგრა პაქის შემდეგ) აბა, რას გაჩუმებულხარ? მიაშბე როგორ მოეწყე, როგორ მუშაობ?

დაშენკა. როგორ ვმუშაობ? გახსოვს, ოლია, შენ ევეობდი, რომ მე სამუშაოს გავუძღვებდი.

ოღლა ვევეობდი, ეს მართალია. ესე იგი ვაუმკლავდი?

დაშენკა. არა.

ოღლა. როგორ თუ არა?

დაშენკა. არ გამოძივიდა, რაზედაც ვოცნებობდი, იმისათვის ცოდნა არ მეყო. ტექნიკა კი, თვითონ იცი როგორია? (ამითხრავს.) მაშინ მოახკარიძედ მოვეწყე.

ოღლა. ძალიან კარგია—პირველხანად რითი არის ცუდი? მთავარია კარგად იმუშაო.

დაშენკა. ცუდი არ არის, მაგრამ რაც მინდოდა ის არ არის. აი ააღა მექახიხატორთა კურსებზე მივდივარ. არა, არ გეგონოს, რომ ვჩივი. მე... ძალიან ბედნიერი ვაო!

ო ლ ლ ა ((გვერდზე მიუჯდება). რას გეტყვი, დაშენკა...
(მაგრამ ამ დროს ფანჯარაზე ვიღაც ნელა დააკაკუნებს. ო ლ ლ ა წამოხტება,
გარედან გამოჩნდება ეგორ ივანეს ძე. გულგატეხილი). ოჰ, ეს თქვენა
ხართ, ძია ეგორ? კიდევ რატომ მოხვედით?

ე გ ო რ ი ვ ა ნ ე ს ძ ე. ილუშა უნდა ვნახო...

ო ლ ლ ა. სძინავს თქვენს ილუშას, ახლახან დაბრუნდა და
სძინავს. (შეხედავს კარს) წადით. ვიდრე მამამ არ დაგინახოთ. ის
თქვენზე ძალიან გაჯავრებულია.

ე გ ო რ ი ვ ა ნ ე ს ძ ე. ვიცი (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ). ერთი
ილუშა მანახვა!

ო ლ ლ ა. არ შემოძლია, და ნურც მთხოვთ!

ე გ ო რ ი ვ ა ნ ე ს ძ ე. ეჰ, შენ კაცი ვერ მოგიდგება! (იმალება)

და შ ე ნ კ ა. ვინ არის?

ო ლ ლ ა. ნაცნობია... ლაპარაკი შეგვაწყვეტინა...

და შ ე ნ კ ა. მე გისმენ, გისმენ.

ო ლ ლ ა (შეიცდის). უცებ სიტყვებსაც კი ვერ გამოინახავ...

და შ ე ნ კ ა. შენ უბრალოდ თქვი, ჩვეულებრივად.

ო ლ ლ ა (ჩუმად) მე ერთი ადამიანი გავიცანი...

და შ ე ნ კ ა. მერე! გაგიტაცა?

ო ლ ლ ა. არ ვიცი, თქვენებურად როგორ არის, ქალაქურად,
ჩვენებურად კი... ჩვენებურადაც არ ვიცი! ვიცი მხოლოდ რომ და-
შეები აღარ მძინავს, და თუ მძინავს, სიზმარში მხოლოდ მას ვხედავ.

და შ ე ნ კ ა. ესე იგი — შეგიყვარდა.

ო ლ ლ ა. უბედურებაც ეს არის!

და შ ე ნ კ ა. რატომ უბედურება? შენ სულელი ხარ. (გაცხარებ-
ბული) ეს უბედურებაა?.. დიდი ბედნიერებაა!

ო ლ ლ ა. მე კი ვამბობ — უბედურება! (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ)
ახლა უნდა ვეწამო.

და შ ე ნ კ ა. რატომ უნდა ეწამო, ოლუშკა? შენ რომ იცოდე...

ო ლ ლ ა. არაფრის ცოდნა არ მინდა! მინდა მხოლოდ, რომ
ჩემი გულისთვის ეწამონ. (წამოხტება, მიიღებს კამოდთან და რამდენიმე
ფოტოსურათს აიღებს) ხედავ, რამდენი სურათებია და ყველაზე ერთი
და იგივე წარწერაა: „სახსოვრად“, „საუკუნოდ შენი!“.

და შ ე ნ კ ა (სურათებს ათვალიერებს). აქ ჩვენებიც არიან, სოფ-
ლელები .. სხვებიც... აი გალაბრუნე ეს ლეიტენანტი...

და შ ე ნ კ ა (კითხვობს). „გულცივო ოლია, ჩამოდით ჩვენთან
შეპეტოვებაში, ან მომწერეთ რაიმე. ვგლი ბარათს, როგორც ბულ-
ბული ზაფხულს“.

ო ლ ლ ა. აი ხედავ! რაში მჭირდება მე ეს ბულბულები! მე
ისეთს ველოდი... ისეთს! (გაჯავრებული) და შემხვდა ტყაპუკა. მუ-
დამ მტვერსა და ტალახში მოსვრილი.

და შ ე ნ კ ა. ოლია, განა საქმე ეგ არის? სრულებითაც არა!
(დარცხვნილ) აი, მეც...

ო ლ ლ ა (გაკვირვებული უყურებს დაშენკას. დაშა გაჩუმებულია. ნაშინ
ოლია კვლავ მიუჯდება მას, ვხვყვა). მართლა?

და შ ე ნ კ ა. პირველად ჩენს სიცოცხლეში.

ო ლ ლ ა. ისიც ქალაქელია?

და შ ე ნ კ ა. ისიც, მაგრამ საბჭოთა მეურნეობაში გავიცანი,
ღირექტორთან. თავიდან ვერც კი შევამჩნიე, ბიჭი ჩვეულებრივი
იყო. შემდეგ ერთად გამოვედით. ჩემოდანი გამომართვა, კლუბამდე
მიმაცილა — პირველად იქ გამომიყვებს ოთახი. უკან მოხედვა ვერ
მოვასწაოი. ვხედავ, რომ ღუმელს ახურებს!

ო ლ ლ ა. მზრუნველობა გამოუჩენია.

და შ ე ნ კ ა. ალერსიანი ყოფილა. (პაუზა)

ო ლ ლ ა. შემდეგ?

და შ ე ნ კ ა. ჩემთან სიარული დაიწყო.

ო ლ ლ ა. შემდეგ?

და შ ე ნ კ ა. შემდეგ... მე დავიწყე მასთან სიარული. მოვალ
თუ არა სამსახურიდან, შეეჭამ რასმე და გავრბივარ. ფეხებქვეშ
მიწას ვერა ვგრძნობ. ქუჩაში ყინვაა, ქარი... ზამთოს მიწურულს
ისეთი საშინელი ქარბუქები იყო...

ო ლ ლ ა. აქ ყოველთვის ასეთი ამინდი იცის.

და შ ე ნ კ ა. მე კი მცხელა! მივირბენ მასთან და ყველაფერი
დამავიწყდება. ფანჯრებიდან თოვლი მოჩანს, მე კი მგონია გახაფ-
ხულია. ჭრიჭინა ჭრიჭინობს, მე კი ჩიტები მგონია.

ო ლ ლ ა. შეგყვარებია და ეს არის!

და შ ე ნ კ ა. მომეხვევა და ამბობს: მე და შენ — ახალ ადვილას
ჩამოვედით სამუდამოდ! აი აგვიშენებენ სახლს, ბაღს გავაშე-
ნებთო... და პირველ ვაშლის ხეს შენს ფანჯრებთან დავრგავთო...
(მორცხვად) მას შემდეგ ვაშლიას მეძახის.

ო ლ ლ ა. სიტყვებიც როგორი გამოუძებნია! ქალაქელია?

და შ ე ნ კ ა. ჩვენებური.

7. ერთმომქმედებიანი პიესების კრებული

ო ლ ლ ა. თქვენთანები ყველანი ასეთები არიან. აი ჩემიც. მხოლოდ მას სხვანაირი მიდგომა აქვს: მოვა, დაჯდება და ზის გაჩუმებული. მორიდებულია, ხელს არ მაკარებს. მიყურებს, მიყურებს მე კი გული მიფანქვალვებს. ჩავხედავ თვალებში — ცისფერი, უშიშარი, მიმზიდველი თვალები აქვს. კიდევ კარგი, რომ იშვიათად ვხედავ...

და შენ კა. მინდორშია? ახლა ყველანი იქ არიან. მეც ჩემსას მთელი კვირაობით ვერ ვხედავ. (ოცნებაში წასული) ახლა კი, ბევრი დრო აღარ დარჩა... ზამთარში დავბრუნდები და ჩვენ... (ყურა მიუგდებს) გესმის?

ო ლ ლ ა (წამოხტება. ისიც მიუგდებს ყურს). მოდის ვინმე?

და შენ კა (ფანჯარასთან მიიჭრება). როგორ არ გესმის? ფრინველები მიფრინავენ. წეროები. (გახარებული) ზამთარი მოდის! მალე მე და ის ერთად ვიქნებით...

(ო ლ ლ ა მივა დაშენკასთან. უსმენენ. შენოდის ილია).

ი ლ ი ა (კარის ზღურბლიდან). ის იყო ჩამთვლიმა — ხმაური მესმის. ვფიქრობ კაჭკაჭები კაკანებენ, თუ მუხუდოს აბნევს ვილაცა-მეთქი. თურმე არც ეოთია და არც მეორე. (დააცქერდება) ეს ვინ არის?

ო ლ ლ ა. დაშენკაა. ესეც თქვენებურია.

ი ლ ი ა. მოსკოველი?

და შენ კა. არა. რიაზანელი.

ი ლ ი ა. ჩვენთან რიაზანში სოკოებსაც კი თვალები აქვს. შენ მიიჩნევე, — ისინი კი გიმზერენ. იქაური ხართ? (იცინის)

და შენ კა (გღიმიება). იქაური ვარ! მაგრამ რატომ გეცინებათ?

ო ლ ლ ა. უკეთესია შენს თავს შეხედო: სახე ხანძინარევი გაქვს, თმებში ბუმბული მოჩანს, ლამაზი ხარ, რაღა!

ი ლ ი ა. ესეც სწორია. (ეთითებს დაშენკაზე) მეგობარია?

ო ლ ლ ა. მეგობარია. ზამთარში რომ ჩამოვიდა, ათი დღე ჩემთან იყო...

ი ლ ი ა. მაშ, რადგან მეგობარია, ო ლ ლ ა, მოდი მისი თანდასწრებით განვიხილოთ შენი საქციელი.

ო ლ ლ ა. რომელი საქციელი? (შეაფხვს დაშენკას. აჩქარებით ილუშა, გეყოფა, თუ ღმერთი გწამს!

(ილია შეკრძეულად ჩაიხედავს სარკენი, თმას გაისწორებს. დაშენკა ო ლ ლ ას განზე გაიყვანს.)

და შენ კა (ჩუბათ). ეს... ის არის?

ო ლ ლ ა. რას ამბობ? ეს ილუშაა, ტრაქტორისტი. ჩვენს სახლში ცხოვრობს.

ი ლ ი ა (ჩამოჯდება ფანჯარასთან). შენი აზრით, — კარგია. მე კი ვამბობ, არა, არ არის კარგი-მეთქი. ცუდად გამოდის, ო ლ ლ ა.

ო ლ ლ ა (გატრიალდება). თავი მტკიოდა.

ი ლ ი ა. სხვათაშორის, რისთვის გადმომიყვანეს მე თქვენს კოლმეურნეობაში? პირამიდონზე სარბენად?

და შენ კა (გაუბედავად) რა მოხდა... ადამიანი ავად არ შეიძლება გახდეს?

ი ლ ი ა. თქვენ, ქალიშვილო, ადვოკატი ხომ არ ბრძანდებით? მაგ სპეციალობის ხალხი ჯერ არ გვჭირდება. (ო ლ ლ ას) ვინ დასვი გუშინ შენს მაგივრად საქესთან? გოგო, იგი შეიძლება ველოსიპედზე დასვას ადამიანმა, ხუთტონიანზე კი არ შეიძლება, როდის მოიტანა მან საწვავი? სალამოსათვის? აბა იანგარიშე, რამდენხანს მოვცდით?

ო ლ ლ ა (ჯიუტად). გეუბნები, თავი მტკიოდა-მეთქი.

ი ლ ი ა. შემჩნეულია, რომ შენ თავის ტკივილი მაშინ გეწყება, როდესაც ეოთი ანხანაგის ჩამოსვლის დროა... 25 წლისა, შუა ტანისა და ასე შემდეგ.

ო ლ ლ ა (ანთებული). ჰოდა, იყოს ასე! (მოშორდება ილიას) ნუთუ არ შეუძლია ადამიანურად გაიგოს?

ი ლ ი ა. არ შემიძლია!

ო ლ ლ ა. შენ გული არა გაქვს. თვითონ ალბათ არ განვიცდილა...

ი ლ ი ა. რატომაც არა! აი, მაგალითად, გუშინ განვიცადე.

ო ლ ლ ა. დიდი ანზავი! რა მოხდა ასეთი!

ი ლ ი ა (მკვანვედ). ცუდი რამ მოხდა, ო ლ ლ ა.

ო ლ ლ ა (არბივებს თვალს დაშენკას). შენი ჭკუის სასწავლებელი არაფერი მჭირს.

ი ლ ი ა. მეც ასე ვფიქრობ. ვინა ვარ მე? უბრალო მუშა ბიჭი, მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის მუშა. რა მესმოდა მე მიწისა. მხოლოდ ის, რომ მასზე დადიან, მაგრამ ჩამოვედი და...

ო ლ ლ ა. მე მაგაზე არ გელაპარაკები.

ი ლ ი ა. მე კი მაგაზე გელაპარაკები. მოვდიოდი და ვფიქრობდი მერე რა, რომ არაფერი ვიცი, მასწავლიან-მეთქი და მასწავლეს კიდევ, მაგრამ როგორ ვნერვიულობდი, ვაი თუ სამუშაოს ვერ გავუმკლავდე-მეთქი, მეშინოდა არ შევრცხენილიყავი. ეს შენ არ იცი.

დაწენკა. ვიცი.

ილია (ვერ გაიგებს). რა?

დაწენკა (შეძრწუნებული). არაფერი...

ილია. ცუდად გამოდის, ოლია.

ოლია. ეს რა, მე ვმუშაობ ცუდად? (განაწყენებული) გმადლობ.

ილია. ასე რომ იყოს, მე შენთან არ მოვიდოდი. მივიდოდი თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან. ეს ადვილია? აი მოდი ამას ვკითხოთ, დაშა, როგორ ფიქრობ შენ? აბა როგორ შეეძლო მას...

ოლია (აწყვეტილებს). ეს ჩემი პირადი საქმეა.

ილია (სთანულოთ). ეს მე მარტო შენგან არ მესმის და... მიკვირს, ადამიანის მთელი ცხოვრება—მისი პირადი საქმეა. ყველაფერს, რასაც იგი აკეთებს, პირადად აკეთებს... თვითონ. ასეა, არა? მაგრამ ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთმანეთს შევცქერით.

ოლია. შევცქერით—ეოი, ჩბრევა კი—შეორე.

ილია. დიახ, ვერცერთ კიდევ. თუ საჭიროა.

დაწენკა. თქვენ ყოველთვის ერევით?

ილია. ყოველთვის, როცა ცუდს ვხედავ, —ყოველთვის!

დაწენკა. სიყვარულშია.

ოლია (განაწყენებული). გგონია ეს მას ესმის? გული გახევებული აქვს.

ილია. შენი სინდისი?

ოლია (გაბრაზებული). გამოჩნდა შუაკაცი! გიყვარდეს, არ გიყვარდეს, ისიც ამას უნდა ჰკითხო! (კაუნა.)

დაწენკა. განა შეიძლება შეუშალო ხელი სხვის ბედნიერებას? (გაცხარებით). ბედნიერება... ყვავილივით არის. იცით, ყვავილი ისეთი ნაზია, ძალიან ნაზი. მას უნდა გაუფრთხილდე.

ილია (ჩაევიწყება). დაახ... აი, დიდი ხანი არ არის ველზე ერთი ყვავილი შემხვდა, მას ლენცოვა ბალახს ეძახიან... თეთრია, ისეთი ნაზი! შიგნით კი—საწამლავე აქვს.

დაწენკა. მე მაგისტანაზე არ ვამბობ.

ილია (სერიოზულად). მაშ, ვერ მოვილაპარაკეთ, ოლია? (ოლია გატრიალდება.) მაშ, თუ ასეა, გაუფრთხილდი შენს პირად ბედნიერებას. მხოლოდ გირჩევ —საერთოსაც გადახედე ხოლმე. (მიდის გასასვლელისაკენ.)

ოლია. როგორმე შენი რჩევის გარეშე შეეძლებ ცხოვრებას. ძია ეგორმა ირბინოს შენთან რჩევისათვის.

ილია. (მკვირცხლად მოტრიალდება) ეგორ ივანეს ძე იყო ჩემთან?

ოლია. დიდასაქეთ სახლს გარშემო უტრიალებს. შემოსვლისა ეშინია.

ილია. რატომ ეშინია? (მივა ფანჯარასთან, გადაიხედავს) ე. .ი. ეგორ ივანეს ძე, საით მიემგზავრები? ჩემთან შემოდი!

ოლია (მეაღდავს კარებს). ნუ ეძახი!

ილია. შენ ადამიანებისა არაფერი გაგეგება. (გაფარდება).

დაწენკა. როგორი გულდაჯერებულია!

ოლია. ამას დამიხედე. ცუდად გამოდის... (ჩაუქრდება).

(ილია ბრუნდება ეგორ ივანესკის თან ერთად, რომელსაც მხრებზე საქმაოდ მოძველებული გარმონი აქვს გადაკიდული.)

ეგორ ივანეს ძე. გამოაჯობათ თქვენი!

ილია. გამოტყუდი, საით მიდიოდი?

ეგორ ივანეს ძე. შეკრებაზე.

ოლია. ეოთბაშად არ შეგიძვან!

ეგორ ივანეს ძე. ახალგაზრდობას უყვარს მხიარულება,—სიმღერა. განა უჩემოდ გამოვა რაბე? არაფერი გამოუვათ!

ილია. (მათი ლაპარაკით კმაყოფილი). გაიგე? შემოდი, დავჯდეთ, ეგორ ივანეს ძე. როგორ გუნებაზე ხარ?

ეგორ ივანეს ძე. ეს გასაგები უნდა იყოს: გარიყულად ვცხოვრობ.

ილია. ჩვენთან კი, აი, სტუმარი ჩამოვიდა. მან არაფერი იცის შენზე: ვინა ხარ, რა ხარ.

(ოლია ფანჯარასთან მივა. დაწენკა ინტერესით უყურებს ეგორ ივანეს ძეს.)

ეგორ ივანეს ძე. მე? მე—კულტურის ყოფილი ძალა, ახლა კი ღრიალას მეძახიან.

დაწენკა. რას ამბობთ!

ეგორ ივანეს ძე. მართალს გეუბნებით (უთითებს ოლიაზე) მამამისი მე სხვანაირად არც მომმართავს.

დაწენკა. კი მაგრამ, რატომ? რისთვის?

ეგორ ივანეს ძე. სიმღერებისათვის. (ამოიხრებს) რასაკვირველია, იგი თავმჯდომარეა—თავისი ანგარიშები აქვს. მხოლოდ ცივისსხლიანი ადამიანია.

დაწენკა. არ მესმის.

ეგორ ივანეს ძე. მაშ როგორ? (აღეკებული) იცით თქვენ რა არის სიმღერა ადამიანისათვის, რამდენ სიკეთეს ანიჭებს იგი სულს. გაიგონებ სიმღერას და ყველაფერი ცუდი გავიწყდება.

ჩიხარ და ნათლად ხედავ, როგორ მალღებებიან ადამიანები (ცხარედ) მე სიმღერასთან ერთად... მასთან ერთად ცხრა მთას იქით წავალ! იჩ კი, მე... (ჩაიქნევს ხელს გაჩემდებლად.)

და შენკა, თქვენ წასვლა გინდათ აქედან? არ გიშვებენ? ეგორ ივანეს ძე. რატომ? მე არსადაც არ ვაპირებ წასვლას! ის კი, ხედავთ, რას მეუბნება: თუ არ გინდა მშვიდად იცხოვრო, მეკუჭნავედ წადიო? აბა!

და შენკა. კი მაგრამ სიმღერა რა შუაშია? ეგორ ივანეს ძე. სწორედაც რომ ასეა აქ კი როგორ მოხდა? წლოვანებისა და ჯანმრთელობის მიხედვით მე შინ უნდა ვიწვე. ეს ასეა მაგრამ მე არ მინდა, არ შემძლია სხვის ხარჯზე ვიყო. შევკრიბე, —ეს ჯერ კიდევ ზამთარში იყო, —შევკრიბე ბიჭები, ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება დაიწყო...

და შენკა. ძალიან კარგი საქმეა! ეგორ ივანეს ძე. აქ კი —გაზაფხული და არდადეგები დაიწყო. ბავშვები დაიფანტნენ, ვხედავ: ვინ ბატებს მწყემსავს, ვინ ისე დარბის. გაეცი განკარგულება, მომეხმარე, შევკრიბო ისინი! ის კი? „იყვნენო, ამბობს, ისინი ბატებს უკეთ უვლიან, საქმეს მაინც აკეთებენ, შენი სიმღერები კი, სისულელეაო“. აქ იყო რომ მითხრა.

ოლლა. რა ჩაიდინეთ თქვენ გუშინ საღამოს? სჯობს იმაზე ილაპარაკოთ.

ეგორ ივანეს ძე. (პატარა პაუზას შემდეგ) რასაკვირველია... ცოტა გავცხარდი.

ოლლა. ძალიან ცოტა? მამიკოს უკულო ბიუროკრატიც დაუძახეთ... და კიდევ რააო? მე მითხარით მადლობა, რომ გამოგექომაგეთ.

ეგორ ივანეს ძე. მე ვღუშვარ. ილია (საყვედურით) ეეჰ. ძია ეგორ! ასე რატომ გააკეთეთ? ეგორ ივანეს ძე. ის რატომ არის სიმღერის წინააღმდეგი?

ილია (ოლლას). მერე რომ გამოგექომაგე, შემდეგ? ოლლა (ნაძალადეოდ). მამიკო ამბობს, ძია ეგორი თავისი სიმღერებით ხალხს მხოლოდ აცდენსო.

ეგორ ივანეს ძე. აი, ხომ გაიგონეთ რა აზრისაა ის სიმღერაზე? ვინ გასწავლათ თქვენ, ახალგაზრდებს სიმღერა? ეგორ ივანოვიჩმა? არ გასწავლათ? ვის ეძახიან ქორწილში პირველად? შრომა? მასაც უყვარს სიმღერა! ეს ესმის შენს მამიკოს? (ოლლა გა-

ჩუმებულია.) ჰოდა ასე. იდამიანს, ყმაწვილებს, უსიმღეროდ გაძლება არ შეუძლიათ! (პაუზა.)

და შენკა (ჩუმად). იმღერეთ. (ეგორ ივანეს ძემ უხმოდ შეხედა მას. შემდეგ გაიღიმა და მოიხსნა გარმონის ქარები. ილია ფრთხილად მიუჯდა. ოლლამ ფანჯარასთან მოიკალათა, მხოლოდ დაშენკა დარჩა თავის ადგილზე—ეგორ ივანეს ძეს პირდაპირ.)

ეგორ ივანეს ძე. შენც, ალბათ, ქალაქიდან ხარ? და შენკა. დიახ. ეგორ ივანეს ძე. სიყვარულზე გიმღერო? და შენკა. სულ ერთია. მხოლოდ კარგი იყოს. ეგორ ივანეს ძე. ყოველ სიმღერას თავისი სული აქვს, (აუღერებს აკორდებს, შემდეგ ჩუმად იწყებს მღერას.)

ჯერ არ არის მოთიბული ბალახები მინდვრად. შენს სარკმელში ყვავილები შემოგყარო, მინდა!

შემხვდი, ჩემო ლამაზო, შემხვდი, ჩემო ცისკარო, ტრფობავ, ჩაუქრობელო, კარგო, დაუვიწყარო!

(თავით გარმონზე მიყრდნობილი, ერთ ტაქს უსიტყვოდ ასრულებს.)

(დაშენკა ოდნავ წინწაწეული მოუთმენლად ელის სიმღერის გაგრძელებას.)

შენ, ჩემო კარგო, მისმინე, მისმინე, ჩემო ცისკარო, შენ, ტრფობავ, ჩაუქრობელო, ძვირფასო, დაუვიწყარო!

მივდივარ ღამე წყნარად, ცაზე ანათებს მთვარე. რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდეთ, ცაზე ანათებს მთვარე.

(ყველანი დიდხანს სდუმან.)

და შენკა. გმადლობ, ეგორ ივანეს ძე! ეგორ ივანეს ძე. ეს მე კი არა, სიმღერამ გიყო.

ილია. წამოდი ჩემთან, ეგორ ივანეს ძე. შენ ნუ დარდობ, ყველაფერი გარელის.

ეგორ ივანეს ძე. კი მაგრამ, რეებს ამბობს ის გესმის...

(ეგორ ივანეს ძე და ილია გადიან მეზობელ ოთახში. დაშენკა უსიტყვო მხერით აცალებს მათ.)

ოლლა (დააცქერდება). სტირიხარ?

დაშენკა (შეიწმენდს ცრემლს). არა.

ოლლა. ძია ეგორმა ეგ იცის!.. მეც კი ჩამაფიქრა. გეყოფა!

დაშენკა. უკვე გამიარა

ოლლა. ჰოდა, კარგია. ნამგზავრი და დაღლილი ხარ ეხლა დაგაწვენ დაისვენე. მანამ კი ყველაფერს მოვაწესრიგებ. შემდეგ კლუბში წავიდეთ (ცხალაბს კამოდის უჯრა აიღოს) მომეხმარე, დაშენკა.

დაშენკა (შეაღწევს ხელს უჯრის კიდეს, მაგრამ იმწამს ისევ გაუშვებს). არ შეიძლება ჩემთვის მძიმეს აწვევა.

ოლლა (აუზრობით). რატომ, უღონო ხარ?

დაშენკა. არა, მე... ექიმებმა ამიკრძალეს.

ოლლა. ავადა ხარ? თქვი!

დაშენკა. მე, ოლლა... ბავშვი მალე მეყოლება. (პაუზა.) რატომ მიყურებ ასე?

ოლლა (დაბნეული). ეს როგორ, დაშენკა?

დაშენკა. ალბათ ფიქრობ: როგორ არა რცხვენია! (აშკარა) არა, მე არა მრცხვენია. სრულებითაც არა მრცხვენია! (პაუზა.)

ოლლა. დედას მაინც თუ მისწერე? როგორ შეხედავ მას თვალბში.

დაშენკა. აი გავაფორმებ და მივწერ.

ოლლა. ის უარს ხომ არ იტყვის?

დაშენკა. რას ამბობ, ოლლა! მე შენ ქორწილშიც კი დაგპატიებ. ჩამოხვალ? (წრაფად გადაღვა ნაბიჯი ოლლასკენ, მაგრამ უცებ შეჩერდა და გაქვავდა, თათქას ყურს უგდებდა იმას, რაც მხოლოდ მას ერთს ესმის) დავიღალე.

ოლლა. დაწექი.. დაიძინე (მიჰყავს დაშენკა საწოლთან, აწვენს.)

დაშენკა. ოლლა, გენაცვალე, როგორ მოვუვლი მას? მე რომ არ ვიცი...

ოლლა (გადასწევს ფარდას). დაიძინე... დაიძინე. (წავა, მაგრამ იყურება და რამდენიმე ხანი ჩაუქრებული დგას. შემდეგ—დაშენკას ჩემოდანს გდგოლზე დასდებს კამოდთან მუგა, მეტანაკერად რაღაცა გადაუგამს რაღაც აასწორებს და კვლავ ჩაუქრდება.)

(შემოდის ილია.)

ილია. როგორც გინდა, ოლლა, მაგრამ მე კვლავ საჩხუბრად მოვედი შენთან.

ოლლა. სს... ჩუმად (უჩვენებს ფარდაზე).

ილია (შეას დაუწევს). სადამდე მიიყვანე ეგორ ივანეს ძე!

ოლლა. ძალიან შეგტკივა გული მასზე? ის ხომ ჩვენი კოლმეურნია.

ილია. ისევ დაიწყე „ჩვენი“, „თქვენი“. გული ატკინეთ მას.

ოლლა. გაუვლის. (პაუზა.)

ილია. გიყურებ და არ მესმის. თქვენს გვერდით ცხოვრობს იდამიანი—სიმღერა—თქვენ კი...

ოლლა. მე მამასთან მაგაზე ერთხელ და ორჯერ არ მილაპარაკია. ის კი სულ ერთს გაიძახის: ნუ მაწუხებ უბრალო საკითხებითო. (პაუზას შემდეგ) დღეს დილას აქეთ აღარაფერს ვეუბნები.

ილია. მაშინ მე მოველაპარაკებ (წასვლა უნდა.)

ოლლა. მოიცა. ილუშა.

ილია. რა იყო?

ოლლა (ჩუმად). აღარაფის არ დავსვამ ჩემს მაგივრად.

ილია (მხიარულად). ჰოდა, ასე!

ოლლა. მე...

ილია. კარგი, კარგი!

ოლლა (თავის დაძალებით). მხოლოდ ერთი მინდა გკითხო...

ილია. რა?

ოლლა. ალიოშაზე... ამბობენ რომ მას აწინაურებთ, ტრაქტორისტთა რაზმის უფროსად ნიშნავთ. ესე იგი, სულ მგზავრობაში უნდა იყოს.

ილია. ეხ, ოლია, ოლია! (ამოიოხრავს) ზოგს ბედი აქვს!

(ოლლა გატრიალდება, მიდის ფანჯარასთან. ილია მივა მასთან.)

ოლლა. ნახე, რამდენი ხალხი სეირნობს. გოგოები ბევრი გვყავს.

(შემოდის ალექსი. ილია და ოლლა მას ვერ ამჩნევენ. პაუზა.)

ილია. რა მკითხე შენ ალექსიზე?

ოლლა. არაფერი. ნახვაც კი აღარ მინდა მისი! (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) უნდა ჩამოსულიყო დღეს და...

ალექსი (მამააღლა). მე უკვე აქა ვარ. (ოლლა შემოტრიალდება წამოიყვარებს და სკამზე დაეშვება. ოთახში შემოდის ალექსი—ქერათმიანი, დინჯი. ფრთხალი მოძრაობით, სიცოცხლით სავსე—ერთი სიტყვით ილიას სრულიად საწინააღმდეგო პიროვნება.)

ილია. ძალი ბსენებაზეო!

ალექსი (უყურებს ოლლას). მახსენებდით?

ოლლა. ისე... სიტყვას მოჰყვა.

ალექსი. უფრო ადრე ვერ შევძელი.

ოლლა. მე შენ არ გეკითხები.

ილია. რაც მთავარია—მოვიდა. ყური მოვკარი რომ პრეზი-
დიუმში გირჩევენ. შენ კი არ ჩამოხველ და არა. როგორ არის
თქვენი საქმეები?

ალექსი. მე ყოველთვის ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს.
(ოლლას) არაფრით არ შემეძლო, ილია.

ილია. ჩვენთან კი...

ალექსი (არ უყურებს, ისე). კარგად გნახე, ილია,!

ილია. როგორ? (შეიშმუშნება). გულდაჯერებული კაცი ხარ (მიდის)
(ალექსი მიუახლოვდება ოლლას ხელი უნდა მოჰკიდოს, მაგრამ წარბშეკ-
რული ოლლა, ჯიუტად განხე გადგება.)

ალექსი. არ მოგენატრე?

ოლლა. ყველა რომ მენატრებოდეს—ნატვრის დრო აღარ
დამრჩება.

ალექსი. მაშ მე ტყუილად ვისწრაფოდი აქეთ? (ოლლა უხმოდ.
იჩეჩავს მხრებს). მაშ ასე... (ჯდება. გრძელი დამქანცველი პაუზა.)

ოლლა (ვერ შეიკავებს თავს). ისევ უნდა მიყურო? (ალექსი სდუმს)
არ მინდა შენი ნახვა! არ მინდა! (ალექსი სდუმს. გაჯავრებით) შემოი-
ლო მოდა—მოვა და დამუნჯდება. ყველა ადამიანურად იქცევა. ზოგი
რას გაიხსენებს, ზოგი გაიხარებს, ქვა ხარ! არ მინდა შენი ნახვა! არ
მინდა!

ალექსი (ჩუმად). გინდა! (პაუზა.)

ოლლა. ნუ მაწამებ...

ალექსი. შენ თვითონ აწამებ შენს თავს. თვითონვე ებრძვი
მას. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) მელოდებოდი... ახლა ვხედავ...

ოლლა. შემოვარდები როგორც ტრამალის მგელი, და...
კვლავ მშვიდობით. არაფრით არ მახარებ.

ალექსი. შენც იტყვი რა! აბა მე რანაირი მგელი ვარ,
აბა შემომხედე თვალეში—განა მგელი ასე იყურება? მგელს თვა-
ლები სიხარბისაგან ანთებული აქვს, მე კი...

ოლლა. ნეტავ დამავიწყა შენი თავი, არ დამანახვა!

ალექსი (ჩაიცინებს). მე კი სწორედ მოგიტანე... (იღებს ჯიბი-
დან კონვერტს და აწვდის ოლლას), რომ გახსოვდე. (კონვერტიდან ოლლა
ფოტოსურათს იღებს. უხმოდ ათვალიერებს.) ვგევარ?

ოლლა (კითხულობს). „ოლიას, მოსიყვარულე ალექსისაგან.“
(პაუზის შემდეგ) „მოსიყვარულე“. (სდებს ფოტოსურათს კამოდის კიდებზე.)

ალექსი (ჩუმად). მოდი გვერდით მაინც მომიჯექი.

ოლლა. არ მინდა. მაინც საიდან გაჩნდი? დადიხარ მუნჯი-
ვით. ერთ ალერსიან სიტყვას, სიმღერას ვერ გაიგონებს შენგან
კაცი.

ალექსი. მე სიმღერები არ მიყვარს.

ოლლა. ეგორ ივანეს ძემ თქვა, „ადამიანს უსიმღეროდ
სიცოცხლე არ შეუძლიაო“.

ალექსი. ეგ ვინლაა?

ოლლა. ის შენ ნუ გაშინებს. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) უკვე
მშობლებიც კი გკითხულობენ.

ალექსი. ანკეტა მე სუფთა მაქვს.

ოლლა. შენ ის მითხარი, გულში რა გაქვს, გულში!

ალექსი. შენ? (პაუზა. კედლის იქით, ილიას ოთახიდან ისმის ხმადა-
ბალი სიმღერა ორხმაზე) მე რომ პირველად გნახე, გამიკვირდა, ისეთი
არა ხარ, როგორც ყველა, ქარაფშუტა, ზოგიერთს ოდნავ აგრძნობინე
და! (დააყოვნებს) აღარ შემეძლია მეტი...

ოლლა. უკეთესი იქნებოდა არ შემხვედროდი.

ალექსი. რით ვარ ცუდი? გგონია ვტრიაბახობ? არა. მე
ვიცი ჩემი თავის ფასი. სამსახურშიც პირველი ვარ. მაჩვენებლები
დიდებული მაქვს, პრემიებს—ფულადი იქნება ის თუ სხვა რამე—
ვის აძლევენ? მე მაძლევენ. პრეზიდენტში მეძახიან, ალბათ, გაიგე,
ცინც ჩემთან დადის, მას ყოველთვის შენატრიან.

ოლლა. ასეთები ბევრნი იყვნენ? (ალექსი ჩუმად იღიმება. გაბრა-
ხებით) ჰოდა, წადი მათთან.

ალექსი. არ მინდა. შენსკებ მიწევს გული. მათ რა? მათ
ცოტაც ჰყოფნით. ყველაზე მეტი შენ უნდა შემოგწირო.

ოლლა. მოგრჩა კი რაიმე?

ალექსი. მთლიანად გაძლევ ჩემს თავს (იცინის) კოლექტივში.

ოლლა. (გულგატეხილი). ოჰ, ყბას მიქცევ! (პაუზა.)

ალექსი (დააცქერდება). შენ რა სიტყვები გინდა? ესეც მოვი-
მარაგე (ტონს იცვლის) თუ არ გინდივარ—წავალ. დე, ჩემი ცხოვრე-
ბა გაბზარული იყოს, ვიხეტიალო განმარტოებული გარმონივით.
(ოლლა დუმს.) წავიდე? (ოლლა დუმს) მაშინ, მშვიდობით. (მიდის გასასვ-
ლელისაკენ).

ოლლა (კვალდაკვალ). მოიცა...

ალექსი. ვიცდი.

ოლლა (ნებდება). ის მაინც მითხარი, რომ გიყვარვარ.

ალექსი (აუჩქარებლად ბრუნდება). გეტყვი. (ალექსი ეხვევა ოლღას, ოლღა თავს მიაღებს მხარზე.) მოხვედი ჭკუაზე? აბა რა მოგივიდა? მაკოცე მაინც.

ოლღა. არ შემიძლია. ქუჩიდან დაგვინახავენ.

ალექსი (შეპარვით). ესე იგი, თანახმა ხარ?

ოლღა. რაზე?

ალექსი. ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე...

ოლღა (ცდილობს გაუსხლტეს ხელიდან). არა, არა! რას სჩადიხარ?

ალექსი (არ უშვებს). გინდა გაფორმებული იყოს? კარგი! იყოს ასე. წაიღე ჩემი თავისუფლება, მოვაწეროთ ხელი.

ოლღა. ახლაც სხვას ამბობ (განზე დგება).

ალექსი. ვოქვი, ცოლად გირთავ-მეთქი. აი, გადავიხდით ქორწილს და ისე ვიცხოვრებთ, რომ უკეთეს ვერ წარმოიდგინ. სახლს ავიშენებთ. საკუთარს! სახლის წინ ბაღს გავაშენებ და პირველ ვაშლის ხეს შენი ფანჯრის წინ დავრგავ... (ოლღა, რომელსაც ბოლომდე ვერ გაეგო. რას ეუბნებოდა ალექსი, უკან იხევს.) რამ შეგაშინა? ჰოდა, იჯდები სახლში ჩემს მოლოდინში. მე კი წამოვალ სამსახურიდან და ას ნაბიჯზე გამოგძახებ: „სადა ხარ ჩემო ვაშლია!“

დაშენქას ძახილი. „აქ ვარ ალიოშა! აქ ვარ!“ (სწრაფად გადასწევს ფარდას და მოეხვევა ალექსის.)

დაშენქა. ალიოშა, ჩემო ალიოშა! (ეხვევა მას) მე კი ჩამეძინა და სიზმარში გხედავ — რალაცას მეუბნები, მელაპარაკები, ვერ გაჩერებ! რა უცნაური სიზმარია, ხომ? მაგრამ დამიძახე და იმ წამსვე გავიღვიძე, ჩემო კარგო. (მიმოიხედავს) მაპატიე, ოლღა... ისე მოულოდნელად მოხდა... შენ ხომ ძომწერე, რომ არ იქნები შეტრებაზე. მე კი აქ შემთხვევითა ვარ, სრულიად შემთხვევით. (ხუმრობით) არ გეგონოს, რომ შენი გულისთვის. მე კურსებზე მივდივარ. რატომ სდუმხარ? როგორ მომაგენი? მეურნეობაში დარეკიხონ? ნუ დამზნჯდი. (სიცილით აჯანჯლარებს ალექსის) ნუ დგებხარ გაშეშებული (ოლღას). ოღია, სულ არ არის ის ისეთი, როგორც ახლა. ოღია... მართლა, გაიცანით (წააგლეხს ხელს ალექსის, მიათრევს, შემთხვევით წამოსდებს ხელს კანოზე დაგდებულ ალექსის სურათს.)

(ოლღა გაიწევს დაშენქასკენ, უნდა აიღოს სურათი, მაგრამ დაშენქა დაასწრებს.) მაპატიე... უცაბედად მომივიდა. საწყალი ლეიტენანტი, ბედი არ სწყალობს. (ღიმილით შეხედავს სურათს... მაგრამ საშინელი გაუგებრობა გამოეხატება სახეზე) რა არის ეს? ვისია ეს, ალიოშა?

(ალექსი სდუმს.) ვისია-მეთქი? (დაშენქას უკანასკნელ სიტყვებთან კარებში გამოჩნდება ილია. გაკვირვებული უსმენს.)

ოლღა. ჩემია. „მოსიყვარულე ალექსისაგან“

დაშენქა. მე... მე არ მესმის...

ოლღა (პირდაპირ უყურებს ალექსის). მაინც სად დარგავ ვაშლის ხეებს, იქა თუ აქა? (პაუზა.)

ალექსი. ხაფანგი დამიდგით? (გამოგლეჯს ხელიდან დაშენქას თავის სურათს.) ხაფანგი?

დაშენქა. რას ლაპარაკობ, ალიოშა? (უნდა მოჰკიდოს ხელი.)

ალექსი (გაკრავს ხელს) ნუ მეჭიდები. არ მიყვარს, რომ მეჭიდებიან.

ოლღა. მოშორდი მას, დაშა. (პაუზა.)

დაშენქა. ეს მან შენ წავიწერა? მას შენ უყვარხარ? (დაბნეული) ესე იგი... მომიშორე მე...

ოლღა. თავის ბავშვზე მაინც იფიქროს! როგორ ჰკრა ხელი!

ალექსი (შეხედავს დაშენქას). რომელ ბავშვზე ლაპარაკობთ? მოისახრებს, აჩქარებით) არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. მე ჯერ ჩემი ცხოვრება უნდა მოვაწყო. არა, ვერ დამიჭერ: მე მთელი ზაფხული მოსავლის აღებაზე ვიყავი, იქნებ ბუღალტერთან? ვინ იცის.

დაშენქა (გაგიჟებული). რაო? რა სთქვი?

ალექსი. არაფერი. ჩაიარა!

(დაშენქა იკივლებს. კარს ეცემა, ხელს ჰკრავს ილიას და გარბის ოთახიდან.)

ალექსი (ილიას დაინახავს, ცალკეად ეღიმება.) ნახე, რა ისტორია შეთხზა? (ილია სდუმს.)

ოლღა (ზიზღით). ო-ოჰ, შე...

ალექსი (გაბრაზებული). მერე და რას ელოდი. ამ შენ „ოჰ“-ს, კისერზე ეკიდებოდი? ხელს არ უჩვენებდი?

ოლღა. სიტყვებიც ბინძური გაქვს... (რეშალ) შენი ხელებიც ბინძურია (მიღის).

ალექსი (ჩაიქნევს ხელს). იწყება! ესენი ყველა ერთნაირები არიან! (ილია მიუახლოვდება ალექსის და ცოტა ხანი უსიტყვოდ შესტყვრის.)

(შემდეგ ოღნავ დაიხვეს და მაგრად გასცხებს სახეში.)

ალექსი (ეცემა). რა იყო? რა მოგვიცადა?

ილია ადექი.

ალექსი. დიდი ამბავი. ვილაც გოგოსთვის...

ილია. ადექი, ძაღლო! (ალექსი ნელა, შემინებული დგება). ეს მეორისათვის (კვლავ გაარტყამს.)

ალექსი (ქანაობს, კედლისაკენ იხევს). გეყოფა, გეყოფა. ილია...
ილია. (სიძულვილით) რას აკეთებ შენ აქ, რას? რისთვის ჩამო-
ხველი.

ალექსი. კარგი ახლა...

ილია. ქალიშვილებს გზა-კვალი აურიო? ამისთვის?

ალექსი. მე არაფერ შუაში არა ვარ.

ილია (გააფთრებული). ოხ შე... ბილწო შენა! (ძლივს იკავებს თავს.
მოსცილდება. (პაუზა.)

(ალექსი ისწორებს კოსტუმს, ყურადღებით ადევნებს თვალს ილიას. მოუ-
ლოდნელად წყნარი ხმით) შენ ვინ გამოგზავნა? ვიცი ნოვინსკიდან
ხარ? რომელმა ორგანიზაციამ გამოგზავნა?

ალექსი. ვინ გაგზავნეს და ვინ—თავისით ჩამოვიდა.

ილია. სულერთია გავიგებთ, მაშინ?

ალექსი. (გათავებულებული) ის ორგანიზაცია უკვე აღარ არ-
სებობს. სეზონური საერთო საცხოვრებელი იყო. გაგიგონია ასეთი?

ილია. გასაგებია. ესე იგი, უსაგზუროდ?

ალექსი. თქვენ ჩამობრძანდით მატარებლით...

ილია. შენ კი... საფეხურზე იდექი?

ალექსი (დაცინვით). სანამ თქვენ თავს იფხანდით,—მე უკვე
აქ ვიყავი! (იმახ აფრევს) ვინ დაიწყო პირველმა სამსახური მანქანა-
ტრაქტორთა სადგურში? მე. ვინ ასრულებს ყველა ნორმას? მე.
უფრთხილდი, არ ჩამორჩე, თუმცა რბილი ვაგონით კი ჩამობრძან-
დი აქ.

ილია. კიდევ რა?

ალექსი. გეყოფა. (მიუთითებს ოთახზე) ეს კი—ჩემი პირადი
საქმეა. (ილია უყურებს ალექსის. ალექსი განზე დგება.)

ილია. ნუ ცდილობ, ვერ დაიმალები! ეს ჩვენი საქმეა, მთე-
ლი ახალგაზრდობის საქმეა. შენ კი... ვინ გამოგვგზავნა, ჩვენ აქ?
(არ დაელოდება პასუხს) ხალხმა და პარტიამ. შენთვის ნაცნობია ეს
სიტყვები? (ალექსი დუმს.) შენ გგონია ჩვენ მარტო თან ჩვენი პრო-
ფესია ჩამოვიტანეთ? ჩვენი ხელები? ჩვენ ჩვენი პარტიოსნებაც ჩამო-
ვიტანეთ, და მის შერცხვენას, გასვრას არავის ვაპატიებთ? ჩვენ
უნდა სარკესავით სუფთანი ვიყოთ! შენ კი აქ კუჭყვი ჩამოგყვა.
(პაუზა.)

ალექსი (მოდუნებული). გაათავე? (შემობრბის ოღლა.)

ოღლა. დაშენკა დაიკარგა. მთლად შეშოვირბინე ყველაშე-
რი.—არსად ჩანს.

ილია (მუქარით). იცოდე თუ იმსნ რაიმე...

ალექსი. არაფერი არ მოუფა. სუსტი ნებისყოფისაა.

ოღლა. მიფურთხების ღირსიც არა ხარ.

ალექსი. კარგი! ესე იგი, გინდათ მე...

ილია. არ გვჭირდება აქ შენისთანები, (შემოდის ეგორ ივა-
ნეს ძე.)

ეგორ ივანეს ძე (მღერის). ოჰო ალიოშკა, ჩამოხველი?

ალექსი (ბრაზმორყული). მივდივარ.

ეგორ ივანეს ძე. ჩქარა. რა იყო ილუშა, რომ დამტო-
ვე? ეს კი კარგად მიჩიე: ხალხი ერთ-ორ დღეში ველებიდან დაბ-
რუნდება. აქ კი მე დავხვდები სიმღერით, მიწაც დაისვენებს, ჩვენც
გავიხარებთო. კარგია!

ილია. კარგია. მხოლოდ ახლა სათხოვარი მაქვს შენთან,
ეგორ ივანოვიჩ! გაიხედე ერთი, ამინდი როგორია? და, საერთოდ,
რა ისმის?

ეგორ ივანეს ძე. შეიძლება. (მიდის).

ოღლა (ღვლავს). ილუშა სადღა ვეძებო?

ილია. მოვძებნით, (შეხედავს ალექსის). მათ ჯერ ლაპარაკი
არ მოუთავებიათ.

ალექსი (შეაწყვეტინებს) რაში მჭირდება ის მე? მე არაფითა-
რი ბრალი არ მიმიძღვის (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ახლა მომახვევთ
თავს! (ყვირის) ერთი თქვენც ყველას! უთქვენოთაც ვიცხოვრებ.

ილია. ვერ იცხოვრებ.

ოღლა (ხურგშეჭყეული). გააგდე, ილუშა.

ალექსი (მიდის გასასვლელისაკენ). თვითონ წავალ (შეჩერდება,
შეათვალიერებს ილიას და ოღლას) იქნებ მე... სხვის ბაღში შევდგი ფე-
ხი? (ჩაიცინებს) მაშინ ბოღიში! (იმალება. (პაუზა))

ილია. ესეც შენი ყვაილი, ისეთი თეთრი! ლენცოფა ბალახს
ეძახიან. (მივა ოღლასთან, რომელიც კვლავ ხურგით დგას. მხრები უცახცა-
ხებს, ვერ გაიგებ, ტირის თუ თავს იკავებს) გტკივა.

ოღლა. მას უფრო ძალიან სტკივა.

ილია (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ). მეუხერხულება თქმა, მაგრამ...

ოღლა. რა?

ილია. გეტყვი. ქალიშვილები არ უფრთხილდებით თქვენს
თავს. ადვილად თანხმდებით, (ოღლა სდუმს.) მე შენზე არ ვამბობ.
ისე... საერთოდ. (ნაბიჯების ხმა. ეგორ ივანეს ძეს შემოჰყავს დაშენკა.)

ეგორ ივანეს ძე. ვინ აწყენინა ჩვენს სტუმარს. ვხედავ
ზის ქასთან და ტირის. რა მოვივიდა? თუ გინდა გიმღერებ. (მღერის.)

ჯერ არ არის მოთიბული ბალახები მინდვრად,
შენს სარკმელში ყვავილები შემოვყარო, მინდა!

(ილია ხელით ანიშნებს ეგორ ივანეს ძეს. იგი შესწყვეტს სიმღერას. თლდა მივა დაშენკასთან და საწოლთან დასვამს).

ილია (არაჩვეულებრივად, მხნედ). რა ისმის იქ, ეგორ ივანეს ძევ?

ეგორ ივანეს ძე. ხმაურია! ახალგაზრდობა კლუბში მიიჩქარის... კიდევ ჩიტების ფრენა ისმის. (ყურს მიუგდებს) ერთი დაუგდე ყური, როგორ ეღურტულებენ!

დაშენკა (ცრემლმორეული). ჩიტები! (პაუზა.)

ილია. გიყვარს? (ჩაუიქრძება) ჰო, ეს უბრალო ამბავი არ არის! (უანჯრის იქით გაისმის სროლის ხმა. ყველანი შეკრთებიან. დაშენკა წამოხტება. თლდა აკაფებს მას.)

ეგორ ივანეს ძე (მივა ფანჯარასთან) მონადირეებმა ძერა ჩამოაგდეს. (დაშენკა უხმოდ ტირის.)

ფ ა რ დ ა.